



საბარძელოს ეროვნული დემოკრატიული პარტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ზაცა სხაზვიაცი სსოვეს

რა იქნებოდა ჩვენი ეროვნული მოძრაობა, თქვენ რომ არ იყოთ - ხალასი, ნათელი გულის ახალგაზრდებო?!

ერს მშრომელ თუ სწავლულ კაცთან ერთად, ისეთი ადამიანებიც სჭირდება, და ალბათ ყველაზე მეტად სჭირდება, რომლებსაც სხვა არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ...

ბადრი გუგუშვილი 17 იანვარი 1990 წელი

ფოტოგრაფიკი



ეს უმაღლესი სტუმარი ნუგზარ ფუხაძეა, როგორც ხედავთ ეს ნაძირალა შეიარაღებულია თვითნაკეთი ბომბით და ღმერთმა უწყის სად და რომელ ქართველს მოუსწრაფებს სიცოცხლეს.

"ვინაგანის ფული", თუ მძიმე ეროვნული კრიზისები?

გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" 1990 წლის 5 იანვრის № 1 გამოქვეყნდა გ.ფანჯიკიძის სტატია "როცა ვინებიც ღელს, ჰეგემონიკება ორქველდება,

ანუ ზოგიერთი განმარტება ერთი ჩემი წერილის გამო", სადაც ავტორი აყალიბებს თავის "შეხვედრებს" საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ.

მკითხველი მიხვდება, რომ "ვინებიც ღელს" მწერალი საქართველოს ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერებს გულისხმობს.

ბატონი ჯურაბი თავიდანვე აცხადებს: "საქართველოს რასაკვირვებელია შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, შემიძევ კი, იმდენ "მაგრამ"-ს იშველიებს, რომ გაუცნობიერებულ მკითხველს შეეშინდება და იტყვის "სწავლია ისევ დამოუკიდებლად საქართველოში გვჯიჯონ, ვიდრე დამოუკიდებელში მთლად დავიღუპოთ".

"როცა ვლადიმერს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე, გვმართებს შინაგანი საკითხების სრული თუ არა, თითქმის მაქსიმუმამდე მოგვარება" - ბრძანებს მწერალი.

შინაგანი საკითხების მოგვარება რომ არ შეგვიძლია რუსეთის "მფარველობის ქვეშ", იბრტყმ ვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას...

მწერალი გვაშინებს მუსულმანური გარემოცვით. ნახევ აფხაზეთმა თურქეთში რა ქნესო. იმას კი არ აზრობს რომ თურქეთში თავისუფალ ჯურჯისტანზე მიფიცებდნენ რამდენიმე მილიონი ქართველიც ცხოვრობს. ესეც რომ არ იყო, განა ოდესმე გარდმე და შინაური მტრების გარემოცვის, მუსულმანური გარემოს გარეშე არსებობდა საქართველოს სახელმწიფო? მკითხველმა იცის, რომ არა, ამიტომ. მას უნდა შევიდეთ და არცინ ამ მხრივ ილუზიებში არ ვარდებო.

გ.ფანჯიკიძის დილექტანტიზმმა განსაკუთრებით ფართო განვითარება უკოვად ეკონომიკაში. აქაოდა ეკონომიკაზე და პოლიტიკაზე ყველა საუბრობსო, მასაც გაუღმა ვერ მოუხდინა და თავისი აზრები გაზეთის ფურცლებზე გადმოიტანა. ამ საკითხებს ეძღვნება წერილის 3,4 და სხვა პუნქტები.

გ.ფანჯიკიძე სვამს კითხვას "როგორ წყობა უნდა უკონტეს სუვერენულ საქართველოს, სოციალისტური, კაპიტალისტური თუ რაღაც ახალი?" და შემდეგ პასუხობს: "ფიქრობ ამ მიმართულებით, მრავალი დარჯის სპეციალისტთა დიდი განსჯა და ფიქრი გვმართებს". პატივიცემული მწერალი უნდა გაგახაროთ და ვაუწყებთ, რომ სპეციალისტებმა უკვე იციან, რა წყობა ექნება სუვერენულ საქართველოს, თუ იგი დანიტერესდება მისი ანალიზით, უფრო ღრმად მოუწვეს ეკონომიკის შესწავლა...

განსაკუთრებულ დილექტანტიზმს მწერალი ფულის მიმოქცევისა და ხელფასების დარჯში ამყვადნებს, რაც წერილის მე-4-ე პუნქტშია ასახული. პატივიცემული მწერალი ფიქრობს რომ "ამ მიმართულებით ჩვენს ფინანსისტებს დიდი და სერიოზული მუშაობა მართებო". სამწუხაროდ, მწერალი აქაც უნდა გაგაწიოთ. ჩვენმა ფინანსისტებმა ბალიან კარგად იციან რამდენი ფული სჭირდება მიმოქცევას და წარმოიღვინეთ, ბიუჯეტის დეფიციტის დროს ნორმაზე მეტ ფულსაც უშვებენ ხოლმე.

რაც შეეძება ხელფასებს, ალბათ გ.ფანჯიკიძეს უკონია, რომ სახელმწიფოს ხელფასის რეგულირება შეუძლია. სინამდვილეში საბაზრო ეკონომიკა თვითონ, ავტომატურად არეგულირებს მას. განა ღელს ყველასთვის ნათელი არაა, რომ ბიუროკრატის ოფიციალური ხელფასი დიდად ჩამორჩება მის არაოფიციალურ შემოსავალს... ხელფასების მაღალი დონე კოოპერატიულ და ინდივიდუალურ სექტორშიც მისი ავტომატური რეგულირების შესაძლებლობათა დამალსტურებელია...

წერილის 5 და 6 პუნქტები ეროვნულ არმიისა და ენერჯეტიკას შეეხება და მასზე უმჯობესია სამხედროებმა და ენერჯეტიკის სპეციალისტებმა ისაუბრონ.

არმიის და ენერჯეტიკის პრობლემების განხილვის შემდეგ მწერალი კვლავ ეკონომიკას უბრუნდება. ამჯერად მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ხაზით და აქაც უამრავ "თავსატებ და სადისერტაციო თემებს" სთავაზობს ეკონომისტებს.

რომელმა სპეციალისტმა თქვა, რომ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები უნდა დაიხუროს, ან ისინი არაა საჭირო? - ისევ და ისევ დილექტანტიზმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ შეიქმნება ეროვნული საბაზრო ეკონომიკა. შესაბამისა მას საფუძველი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევამდეც ჩაეყაროს. ასეთ პირობებში საჭირო იქნება არა ქარხნების დახურვა, არამედ სტრუქტურული რეორგანიზაცია და რეკონსტრუქცია. ის, რომ ღელსებს ბევრი ქალაქიდან ვღებულობთ, საშიში არაა. პოლიტიკური დამოუკიდებლობა ეკონომიკურ იზოლაციას არ გულისხმობს, პირიქით.

ბატონ მწერალს უნდა ვაუწყებოთ, რომ ქართველმა ეკონომისტებმა იციან, როგორ დაუბრუნონ გლეხი მიწას, ისიც იციან, თუ როგორ მივალწიოთ ხორცი და სხვა პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფას, მაგრამ სამწუხაროდ მისი განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე, პოლიტიკური სუვერენიტეტისადმი კი შიშს და უნდობლობას თესავს.

წერილი თავიდან ბოლომდე გაუღმთილია პანიკით, მდგომარეობის მიზეზების გარკვევის ნაცვლად მწერალი გამოუვალ მდგომარეობებს გვთავაზობს. მაგალითად, თქვენ სწორად აღნიშნავთ, რომ საქართველოს ხორცი ლეგალიზაციით შემოაქვს, მაგრამ არ იცით, ან მაღავთ მის გამომწვევებ მიზეზებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ:

- 1. ჩვენი სათბო-სამოვრები და ტყე-ვიდეები რუსეთის ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა პლანტაციებად გადაიქცა, რამაც ჩვენი სოფლის მეურნეობის ტრადიციული ხასიათი მოშალა;
2. ამის მიუხედავად, ჩვენ შევძლებთ სურსათით სრულ უზრუნველყოფას და მის ექსპორტსაც კი, სოციალიზმის პირში - კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რომ დაიშლებოდეს... ამასი კი 20 ათასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ბიუროკრატი არ დამთანხმებო, რომლებიც მოკალათებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის სისტემაში...

გ.ფანჯიკიძის დილექტანტიზმის დასასაბუთებლად მის მიერ ნახმარი "ეკონომიკური ცნებები" და "კატეგორიები" გამოდგებოდა. რას ნიშნავს "იქიდან შემოგვაქვს მთელი მოცულობის"... რის მოცულობის? ან კიდევ "სათბობის მრეწ-

/დასასრული მე-2გვ./





დასასრული

ისრაელმა სისხლით დაიკვა თავისი დამოუკიდებლობა, მან ხუთი ომი მოუგო არაბული ქვეყნების გაერთიანებულ ლაშქრებს.


ბევრი სვამს კითხვას: როგორ მოხდა რომ პატარა ისრაელმა, რომლის სიგრძე 410 კმ-ია, სიგანე 112 კმ, მოსახლეობა 4,2 მილიონი კაცი (აქედან I მილიონი არაბია) შესძლო არაბთა კოალიციური ლაშქრობების შეჩერება. მა-რთლაც მართლ 54 მილიონიან ეგვიპტეს 445 ათასიანი ჯარი ჰყავს ისრაელის 172 ათასიანი არმიის წინააღმდეგ, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა კავშირის მიერ კბილებამდე შეიარაღებულ სირიაზე და ირანთან ომში გამობრძმედილ ერაყზე. სიონისტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვლადიმერ ჟაბოტინსკი ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როდესაც ებრაელთა სახელმწიფოს შექმნის გეგმები ზუსტდებოდა, აღნიშნავდა, რომ თუ მომავალ ისრაელს სურს იარსებოს, მაშინ მისი და მუსლიმანური არაბეთის შეიარაღებული ძალები უნდა შეეჭარდებოდეს ერთმანეთს როგორც I:I, ხოლო თუ განვითარება სურს, ეს შეჭარდება უნდა იყოს როგორც I,5:I. ჟაბოტინსკის იმ დროისათვის ასეთი ფანტასტიკური რჩევა დღეს ისრაელის მიერ ფაქტიურად რეალიზებულია. ეს კარგად უნდა იკოდნენ ქართველმა მამულიშვილებმა, რადგან ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს, განსაკუთრებთ მუსულმანურ გარემოცვაში, თუ მას საკუთარი თავის დაცვა არ შეეძლება და არ ექნება საერთაშორისო მხარდაჭერა და გარანტიები.

როდესაც ვიარჩებთ ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველ ნაბიჯებს, მაშინდელ საერთაშორისო ვითარებას, მის ბრძოლას ყოფნა-არყოფნაზე და ვადარებთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ებრაელ ხალხს გაცილებით მიძიმე პირობებში მოუხდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. მიუხედავად ამისა, მათ შეუძლონ შრომით, დიდი ენთუზიაზმითა და საკვირველი შორსმჭვრეტელობით შეძლეს არა მარტო სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება, არამედ ბუნებრივი რესურსებით მეტად მწირი, ნახევრად გადახრუკული ქვეყანა მოკლე დროში მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე, ზოგიერთი მაჩვენებლებით კი უპირველეს სახელმწიფოდ აქციეს.

ისრაელის სახელმწიფოს დღევანდელი სურათის დასახატავად ორი ასეთი მაგალითიც იკმარება: პირველი: ისრაელი ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოა, მისი სამხედრო-საჰაერო ძალები უდრის ინგლისისა და საფრანგეთის ანალოგიურ ძალებს ერთად აღებული (რა თქმა უნდა სტრატეგიული ავიაციის გამოკლებით) მეორე: ერთ სულ მოსახლეზე კვების პროდუქტების წარმოებით იგი მსოფლიოში პირველია.

ბოლოს იმასაც აღვნიშნავთ, რომ ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობა 26 საუკუნის წინ დაიწყო. იგი მეგობრობის აპოთეოზის ზეცაში ატყორცნილი ნათელი სვეტია. ებრაელი ხალხი, რომელმაც უკვე შეიკრმნო დაკარგული თავისუფლების მოპოვებით მიღებული სიტკბო, ბოლომდე ერთგული დარჩა საქართველოს და მას მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. დღეს ორ ქვეყანას შორის კავშირის განსამტკიცებლად რაღაც ნაბიჯები იღებენ, მაგრამ იგი აშკარად საკმარისი არ არის. აბა რა უშლის ხელისუფლებას, რომ უმოკლეს ვადაში ორივე ქვეყანაში გახსნას საკონსულოები, შეიმდგეს კი საელჩოები. დამყარდეს თავისუფალი მისვლა-მოსვლა და სავაჭრო კავშირები. საქართველოში დაარსდეს ისრაელის კულტურის ცენტრი, თეატრი, სკოლები და ბაგა-ბაღები, გამოიცეს ებრაული გაზეთები, ამოქმედდეს ებრაული მუზეუმი, აღდგეს ყველა სინაგოგა, გაიხსნას ეროვნული რესტორნები, გაიყვანოს სტუდენტები, დამყარდეს მტკიცე საჰაერო და საზღვაო კავშირი, ებრაელებს სურვილისამებრ, ქართველებსაც მიეცეთ საშუალება იყვნენ ორივე ქვეყნის მოქალაქეები და ა.შ. ებრაელი ხალხი იმსახურებს ამას.

ჩვენ ისტორიისათვის სამწუხარო ფაქტია, რომ არც ერთ ერს ჩვენი ხალხისთვის ზრუნვა და ამბავი არ დაუფასებია. დააფასა მხოლოდ ერთმა ერმა, ყველაზე ღირსეულმა, ებრაელმა ხალხმა და ეს სიმბოლოვით არის, რადგან ორივე ქართველებიც და ებრაელებიც ღვთის მალღით კურთხეული ხალხია, ამიტომ ცხადია, მომავალში ისინი ერთმანეთს ხელხილ ჩაკიდებულები ცივილიზაციის ახალ მწვერვალებს დაიპყრობენ.



გურამ სიხარულიძე

ს უ რ ა თ ე: ქალაქთა ქალაქი იერუსალიმი ისრაელთა რწმენისა და იმედის სიმბოლო ბევრ პამიკდაშის კედელი. ისრაელში ჩამოსული ყოველი სტუმრის მოვალეობა ამ წმინდა ადგილის მონახულება.

ინფორმაცია

სენატორმა - რესპუბლიკური პარტიიდან ბ-მა რობერტ ლოულმა თავის წერილში, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთ "ნიუორკ ტაიმსმა" მოუწოდა აშშ-ს პრეზიდენტს ბ-ნ ჯორჯ ბუშს გადაეხდეს და გადაენაწილებინა ფინანსურ-ეკონომიური დახმარება იმ ქვეყნების სასარგებლოდ, რომლებიც დაადგენენ ჰუმანიტარული დემოკრატიული განვითარების გზას. ბ-ნი ლოული წერს: თუ მათი დემოკრატიული განვითარების გზას მოჰყვება რაიმე შედეგებმა ეს ძვირად დაუჯდება აშშ-ს და მთელ თავისუფლების-მოყვარე კაცობრიობას. დემოკრატიული განვითარების გზა დადებით კვალს დაატყობს აშშ-ს უსაფრთხოების საქმეს - სამხედრო შეიარაღების ხარჯების შეკვეცას და თავისუფალი ბაზრის გაფართოებას. მან მოუწოდა პრეზიდენტს სერიოზულად გადახედოს ამერიკული დახმარების საშუალებების საკითხებს.

ტოკიო. ე.წ. სსრკ-ს დეპუტატმა ბ.ელცინმა იაპონიაში ჩასვლისას გააკეთა განცხადება, რომ სსრკ-ში მოკლე ხანში აუცილებლად გასატარებელია რადიკალური ცვლილებები. მან დაგმო ჯარების გამოყენება ეთნოკრიზისების აღმოფხვრაში. ე.წ. რესპუბლიკებს სსრკ-ში უნდა მიეცეთ სუვერენიტეტის სრული საშუალება. მან განაცხადა: სსრკ-ში უნდა შეიქმნას თავისუფალი ბაზრის პირობები და ბირჟა. დღეს ე.წ. "პერესტროიკამ" ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს, რადგან მ.გორ-

ბაჩოვი მიდის კონსერვატორულ ძალებთან. პარიზი. გაეროს უშიშროების საბჭოს 5 წარმომადგენელი: აშშ, ჩინეთი, საფრანგეთი, ინგლისი, სსრკ, იმყოფება პარიზში, რათა განიხილონ საკითხები გაეროს ჯარების განლაგებასთან დაკავშირებით კამბოჯაში, სანამ კამბოჯაში არ ჩატარდება თავისუფალი არჩევნები, ეს გეგმა იყო წარმოდგენილი ავსტრალიის მიერ.

მოსკოვი. შესღა ე.წ. უმაღლესი საბჭოს სხდომა. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მოეწვია სესია 14 თებერვალს 1990წ., რომელზეც იქნება განხილული სსრკ-ს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა, მიღებული იქნება კანონები კერძო საკუთრების, მიწის, გადასახადების და ე.წ. რესპუბლიკების სუვერენიტეტის შესახებ.

ვაშინგტონი. აშშ-ს სახელპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმდემოკლემულია მ.გორბაჩოვის მიერ წარმოქმნილი სიტყვა ლიტვაში მრავალპარტიული სისტემის შექმნის შესახებ სსრკ-ში, მ.გორბაჩოვმა განაცხადა 7 მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება შესაძლოა მომავალში, მაგრამ რაც შეეძლება დღევანდელ პირობებს ეს გამოირჩეულია! აშშ მხარს უჭერს ლიტვის, ესტონეთის და ლატვიის ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ.

რადიო "ამერიკის ხმა" და "თავისუფლება" მოამზადა კ.როგოვაძემ /საღვ/ 1990წ. 12-20 იანვარი

დას-საქართველო!

ჩემო ლალ-ზურმუხტო, ჩემო მშვენიერო, ფუმემაგარო და კეთილგონიერო, ყველას შემგრაღე და ყველას განმკითხავო, - ტურფა საქართველოვ! რა არ განვიცდია: ბევრჯერ დანგრეულხარ, წამოგრიოქავს და სისხლად დანთხეულხარ, მაგრამ შენ მტრის მონად არცროს დამხოილხარ, რადგან ამაცი ხარ! პურმარილიანო, უხვო მასპინძლო, გაჭირვებულისთვის. კვართის გამყიდველო, ყველა დევნილისთვის თავის შესაფარო, - გულთა ქართველო! ეშმაკმა იფიქრა: - უპატრონოა! ედემ-ბალი ჩემი საბატონოა, - გაქსუვდა, გამრავლა, განზე გაიწია, ღამის გაღავდა!

და ბოლოს იქამდეც კი მივიღა საქმე, რომ ქართველს მამის და პაპის ნაფუძარზე ვიღარ უშოვნია დასასახლებელი - ღამის შეცდეს ჭკვაზე! ჩემო პაწაწინა ობოლ-მარჯალიტო, მრავალჭირნახულო, სალცავო ხატო, ვფიცავ შენს მზეს, მიწას, - უნდა გაგამრავლოთ! მტერმა არ დაგჯუჯუნოს!!! ჩემო გულმარტალო, ჩემო საფიცარო, ფუმემაგარო და კეთილგონიერო, ყველას შემგრაღე და ყველას განმკითხავო, - დღა-საქართველოვ!..

იზოლდა დათიაშვილი 23/IV-89წ. 144-ე საშ.სკოლის მასწავლებელი

ხალხი მოსიწვით აიჭაბო!

გამწყურა ჩვენზედ ბუნება, ცა ჩამოქცევას გვპირდება ვაჰმე, სადა ხარ ჰერაკლდე, ცის თალს დაჭერა სჭირდება. - ნუ გეშინიათ ბოკვრებო! ლომი საფლავით ღმუიან, ბერძენს საშვილად რად უხმობთ, ან ლევენ რამ დაგარიავთ? დალიეთ, ღვინო წითელი, ძალას შეგმატებთ მკლავშია, ჩვენ საფლავებში გვახსენეთ, შეტოკდეს ჩვენი ძვლებია. კოლო და მუმილი მუხასა მუღამ გარშემო ჰხვევია, მუხა კლდესავით ამაცი, მტერს როდი წაუქცევია! ჩვენ ჩვენი ღღენი ვიბრძოდით, ხმაღს ქარქაში არ სჭიროდა, ეს თქვენი ხმაღიც მოსინჯეთ, ქარქაში ხომ არ ჩაჭანდა?

ისე, როგორც, რომ გუთანი, ხევში არასდროს ჟანგდება, ხმაღსაც, მტრის თავზედ მოქნეულს, ჟანგი არ მოეკიდება! იქნით ხმაღი, ბოკვრებო, კაცი უმეტროდ არ ვარა. არც მტრისგან ძღვეული ვარგობს, ოთხად რომ მოიღუნება. კარგნი ვართ მიტომ გვებრძვიან ცულსა რად უნდა მტერობა. მტერი ვერაფერს დაგაკლებთ, თუკი გექნებათეროთა. მხარი მიეციეთ ერთმანეთს, იმერმა, კახმა, მეგრედმა დასჭექეთ ლლი სიმღრა, "ლაშქრული", "მუმილი მუხასა" საფლავში დავიბუზუნებთ, ბანს მოვცემთ ძველებურადა!

ლაშა აღექსანდრეს ძე ოსიაშვილი ყვარლის რაიონი, ს.ახალსოფელი

გაზეთ "დროების" რედაქცია დანამოზრედებს გიწვევთ სათანამშრომლოდ. თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებით: კ.როგოვაძემ 37-51-36; ვ.ქუნთელია 99-37-52; გ.თვალავაძემ 39-09-40.

გაზეთის ნომერი მოამზადეს: კოტე როგოვაძემ /საღვ/ ვაჟა ქუნთელიამ /საღვ/ ვია თვალავაძემ /საღვ/